გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ტფილისი, 6 ივლისს

უეჭველია, მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილს ამბავს. სოფელ კოშკს, საღამოს რვა საათზე, სწვევიან დაუპატიჟებელი სტუმრები და საცოდავი ქალებისთვის გულები დაუხეთქიათ. ავაზაკების თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს. მთელი მაზრა ცახცახებს და კანკალებს შიშისა და ზარისაგან. რაც ადგილობრივს გაზეთებში იბეჭდება გორის მაზრიდგან ქურდ-ბაცაცების ავ-კაცობათად მეტი ამბები ჩამოაქვთ გორიდგან ჩამოსულებს: ყველას პირზე ის აკერია, რომ თუ მალე ადმინისტრაციამ საშველად ხელი არ გამოგვიწვდინა, მალე ან ყველას ყელებს დაგვღადრიან, ან სულ მთლად ხელცარიელებს დაგვსხამენ სარჩო-საბადებლიდგანო.

მართალია, თავ-ზარდაცემულის მკვიდრის ფანტაზია ერთი-ასად უფრო აზვიადებს იმას, რაც ნამდვილად ხდება, უბრალო შემთხვევას ხშირად დიდს მნიშვნელობას აძლევს, მაგრამ ავაზაკებმა რაც ჩაიდინეს ამ ერთი-ორის კვირის განმავლობაში, ისიც სრულიად საკმარისია, რომ ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ, ეხლავე, ენერგიული და ფიცხელი ზომები მიიღოს ბოროტების ძირეულად აღმოსაფხვრელად. ხალხს მტრედივით გული გახეთქია, ვეღარა მოუფიქრებია-რა და მოუსაზრებია, საქმეზე ხელი აუღია და მარტო იმის ზრუნვას მისცემია, როგორმე ტკბილი სული გადავარჩინო დაღუპვასაო. მუშაობა გაცხარებული უნდა იყოს ეხლა და შემოდგომაზე მკვიდრი-კი სოროში ძვრება. წლის სარჩო-საბადებელი ძაღლისა და ღორის ანაბარად რჩება.

რასაკვირველია, მაზრის ასეთს ზე, ხომ იბეჭდება, მაგრამ ერთი-მოუსვენარს მდგომარეობას თუ მალე ბოლო არ მოეღო, ისეთი ზარალი და ზიანი მოჰყვება, რომ შემდეგი სამი-ოთხი მოსავლიანი წელიწადი ფეხზე ვეღარ დააყენებს.

ამისათვის დაუყოვნებლივ საჭიროა, მიიღოს საგუბერნიო ადმინისტრაციამ არა ჩვეულებრივი ზომანი — მიაშველოს გორის ადგილობრივს ადმინისტრაციას ჯარები, გამგებლებად დაინიშნონ მთელის გუბერნიის ადმინისტრაციიდგან ამორჩეული მოხელენი, რომელნიც განთქმულნი არიან ვაჟ-კაცობით, გულადობით, მამაცობით და თავ-განწირულებით. უკანასკნელნი ჯარების შემწეობით ადვილად შეჰკრავენ ყველა საეჭვო ხეობას, ყველა ბილიკს და უეჭველია, თუ ცოცხლებს ვერ ჩაიგდებენ ხელში ავაზაკებს ღირსეულად დასასჯელად, დახოცვით მაინც დახოცვენ.

როცა საჭიროება და გარემოება მოითხოვს, და ამაზე მეტი რაღა საჭიროება იქნება, როდესაც ავაზაკნი, ისე გაკადნიერებულან თითქო ქორწილში მიდიან, თოფის სროლით და სიმღერით, შუადღისას ეცემიან სოფელს, გუბერნატორებს უმაღლესად უფლება აქვთ მინიჭებული, მოიხმარონ და მოიშველიონ ავაზაკების ბრბოს გასაწყვეტად, რამდენიც უნდათ, ჯარები. მაშასადამე ამ ზომის მისაღებად არაფერი მიწერ-მოწერა უმაღლესს მთავრობასთან საჭირო არ არის და შეიძლება გამოიყენონ დღესვე. სასურველია, მალე ისარგებლონ ასეთის უფლებით, თორემ რამდენიც ხანი და ჟამი გადის, იმდენი მაზრას უფრო მეტი ზარალი ეძლევა და ხალხი ტყუილ უბრალოდ წიოკდება. ყოველი დაგვიანებული დღე დაკარგულ დროთ უნდა ჩაითვალოს.

Z

## ახალი ამბავი

*** წელს ენკენის-თთვიდამ ტფილისის საქალებო პროგიმნაზიას მეექვსე კლასიც მიემატება და მესამე კლასსაც ერთს განყოფილებას მიუმატებენ.

*** შარშან გაზაფხულს, მარტში, ქალაქმა გაჰმართა სასიფილიტიკო საავადმყოფო, რომელიც ავლაბარშია მოთავსებული. ამ საავად-მყოფოს გამგებელმა ექიმმა ისტამანოვმა ამ დღეებში ქალაქის გამგეობას წარუდგინა ანგარიში ამ საავად-მყოფოს მოქმედებისა ამ წლის 1-ლ იანვრამდე, ე. ი. $9^1/_2$ თთვისა. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ დროს განმავლობაში საავადმყოფოში შესულა 127 ქალი, 74 ვენერიულისა და 53 სიფილისის ავადმყოფობით. ამათგან მხოლოდ ერთი გარდაცვლილა, 101 გამოწერილა საავად-მყოფოდამ და ამ წლის 1-ლ იანვარს ირიცხებოდა 25 ქალი. წლოვანობით 5-ისა და 10-ის წლის ქალებიც ყოფილან, სახელდობრ 2, 10—15 წლ.—3, 45—70 წლ.—3, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი—101—15—30 წლ. ქალები ყოფილან.

ავად-მყოფ ქალთა შორის, ცუდის ყოფა-ქცევის ქალების გარდა, კიდევ სხვა-და-სხვა მოსაქმე ქალებიც ყოფილან ამ საავად-მყოფოში: ოჯახის ქალი ყოფილა 14, მკერვალი 10, გამდელი 7, მზარეული-ქალი 5 და აღმზრდელიც 1.

ბ-ნი ისტამანოვი თავისს ანგარიშში დიდს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ 127 ქალიდამ მხოლოდ 77 იყო ქალაქელი, დანარჩენი 50-კი ქალაქის გარედამ მოვიდნენო, მაშინ როდესაც ქალაქში გადამეტებით მრავალია ცუდის ყოფა-ქცევის ქალები რომელნიც ავრცელებენ ავ სენს, რადგან არ აქვთ საჭირო ყურის-გდება არც პოლიციისაგან და არც სა-

---

## ფელეტონი

### ხალხურის მიბაძვა

აიმ მთაზედა,
მწვანიანზედა
ია დავთესე—ნარი მოსულა!
წყარო წყალზედა,
ბროლიანზედა
წყალს დავეწაფე—შხამი ყოფილა!
სხვამ იმავ მთაზედ მყრალი დათესა
შაჰხედეთ ბედსა—ვარდი მოსულა!
სხვა იმავ წყალზედ წყალს დაეწაფა—
უკვდავებისა წყარო ყოფილა!
აიმ მთაზედა,
მწვანიანზედა
მე გავაშენე სევდისა ბაღი;
შიგით დავავლე ზურმუხტის კვლები
და ზედ დავნერგე სიყვარულის ტყე;
მალ-მალე ვრწყავდი სამოთხის წყლითა.
ჩიტნი მოვიდნენ,
არ დაუშალე;
ია და ვარდი
წინ გაუშალე;
შამოეჩვია ირმისა ჯოგი,
ვერ გავიმეტე—სხვამ ინადირა!

ბაჩანა

### ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო

(დასასრული იხ. „ივერია“ № 140)

VII

სწორედ მოგახსენოთ, რაც მინდოდა მეთქვა ამ წერილით, უკვე ვსთქვი და, მაშასადამე, გავათავე ჩემი საქმე. ამ წერილის აზრი ის იყო, რომ გამომერკვია, შეძლებისამებრ, ის საზოგადოებური და საეკონომიო ვითარება ახალის დროებისა, რომელმაც შეარყია წინანდელი მდგომარეობა დედაკაცისა და თვალ-წინ დაუყენა ეხლანდელს საქმე უფრო რთული და საგანი უფრო ვრცელი, ვიდრე ის საქმე და საგანი, რასაც უნდა გასძღოლოდა დედაკაცი წინანდელის დროებისა. ახალს საქმეს ახალი კაცნი დასჭირდა.

როგორც ვიცით, დრო ცვალებადობისა და დაუდგრომელობისა მუდამ მძიმე და ძნელად ასატანი დროა. მაგრამ არ გათენდება ისეთი ღრუბლიანი, მოშავებულებული დღე, რომელიც არ შეეპოვოს გაბრწყინვალებულის მზის გამოცხელებელს სხივებს და თვისი ადგილი არ დაუთმოს ცა-მოწმენდილს, სასიამოვნო და სასიხარულო დღეებსა. მაინც ამ იმედით თვალი არ უნდა ავარიდოთ ეხლანდელს ჩვენს უნუგეშო ყოფას. პირ-იქით, ამ იმედმა უნდა მოგვცეს ღონე, რომ ფხიზლად და უშიშრად გავითვალისწინოთ დღევანდელი ჩვენი ვითარება.

თუ სამძიმოა დღევანდელი ყოფა და ჩვენც მართლა გულწრფელად გვწადიან მისი განკარგება, ვალდებულნი ვართ ჩვენის ცხოვრების ეხლანდელი ვითარება გულ-ახდით და ყოვლად დაუფარავად გავატაროთ კრიტიკისა და ანალიზის ქარ-ცეცხლში. თუ არ ვიცით მიზეზი და საფუძველი ბოროტებისა, შეუძლებელია, რომ ხელი მოვკიდოთ მისს აღმოფხვრას ძირიან-ფესვიანად.

თქმა არ უნდა, რომ შორს-მხედველობას მოკლებულნი წარმომადგენელნი მშვენიერთა სქესისანი, ცოტა არ იყოს, შეშფოთდებიან და დამენდურებიან კიდეც ამ ჩემის მიუფერებელის კრიტიკის გამო. ხოლო უფრო გონიერნი დედაკაცთა შორის მიხვდებიან, იმედი მაქვს, რა განზრახვა და სურვილიცა აქვს ამ წერილის ავტორს და ეცდებიან იმოდენი გულ-დამშვიდება გამოიჩინონ, რომ გაუბოროტებლივ მოისმენენ ბოლომდე მართალსა და ჭეშმარიტს აზრს, თუნდა ეს აზრი დიდად უსიამოვნო მოსასმენიც იყოს.

ამ იმედით, გავბედავ მოკლედ ავნუსხო უმთავრესი დედა-აზრნი, გამოთქმულნი მთლად ამ ჩემს წერილში. ამით ყოველი ზემორე თქმულიც უფრო ადვილი გასათვალისწინებელი იქნება და სადავიდარაბო და სალაპარაკოც აღარა დარჩება-რა.

პირველი აზრი, რომელზედაც მე ვარ დამყარებული, ის ზოგადი აზრია, რომ ჩვენის ცხოვრების წინანდელმა და დღევანდელმა სოციალურმა ცვალებადობამა და რყევამა დაარღვია მწყობრი და გაერთიანებული აგებულება წინანდელის, მამა-პაპურის ცხოვრებისა.

რაკი ყოველივე მოძრაობაში მოვიდა და თავის შეჩვეულს ალაგს მოჰშორდა, დედაკაცის მდგომარეობაც შეუცვლელად ვეღარ დარჩებოდა, ერთს და იმავე დონეზე. გაჰქრა ის დრო, როცა დედაკაცი ასლი ფარდი იყო თავის დროების წეს-წყობილებისა და ვითარებისა. ეხლანდელის დედაკაცის წარმატება კიდევ, თუ გონებითა და თუ ზნეობით, მართალია, ბევრად მეტია წინანდელის დედაკაცის წარმატებაზე, მაგრამ მაინც უკან ჩამორჩა და ვერ შესწდომია საზოგადო ვითარების ზრდა-წარმატებასა. აი სწორედ ეს არის დიდი უბედურება ეხლანდელის დედაკაცისა. გარემოების ძალით, ძველს კვალს ასცდა და ჯერ ახალს კვალში ჩადგომა ვერ მოახერხა, ისე მტკიცედ ჩადგომა, რომ შიგ თავისუფლადა და დაუბრკოლებლივ შეეძლოს სიარული.

ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებაში, ქონებისა და დოვლათის წარმოებაში დედაკაცი დღეს მწარმოებელი-კი არ არის, როგორც მისი წინა-მოადგილე იყო, არამედ მომხმარებელია, მფლობელია მხოლოდ იმ სიკეთისა, რომელიც არც მისი მოპოვებულია და არც მისის ხელით არის შეძენილი. მეორეს მხრით, ესრედ-წოდებულს საპროფესსიო მოღვაწეობაშიაც, მისი მნიშვნელობა ჯერ-ჯერობით მეტად მცირეა, მაშინ როდესაც ყმაწვილკაცობა, რა-კი თავად-აზნაურთა ოჯახმა ძრიელ დაიწია, დიდად ცდილობს ახალ გზაზე დაადგეს ცხოვრებისას და ეტანება—რიგი მასწავლებლობას, რიგი მკურნალობას, მოხელეობასა და ადვოკატობას, რიგი კიდევ ტეხნიკობს, ვაჭრობს, მრეწველობს, რკინის გზებზე მსახურობს, კერძო საზოგადოებათა საქმეებში შოულობს ალაგს და სხვ. ეს ახალი შტონი და გზანი შრომისა და გარჯისა ინდომებს ჩვენის ყმაწვილ-კაცობისას უმეტეს ნაწილს, რომელიც თან და თან უფრო და უფრო იზრდება, მატულობს და დიდად უმსუბუქებს ცხოვრების ტვირთს შერყეულს ოჯახს

ექიმო ნაწილისაგანაო. ამ დიდ ნაკლულევანების ასაცდენად ექიმი ისტამანოვი სხვა-და-სხვა საშუალებას უსახელებს ქალაქის გამგეობას, რომელსაც დიდს ქალაქებშიც ხმარობენ და კარგი შედეგიც აქვსო.

*** ჯერ კიდევ შარშან იყო განზრახული რუსეთის იმპერიაში ღვინის მომყვანთა კრების გამართვა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო არ მოხდა. ეხლა, როგორც გაზეთები იწერებიან, ეს კრება მომავალს ზამთარში უნდა მოხდეს. სხვათა შორის კრებამ უნდა განიხილოს ერთი საგანი, სახელდობრ ისა. თუ როგორ უნდა მოუხერხონ ღვინის მომყვანთ სესხი.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი ტყეების გამგებელთა ახალის დებულებისა. პროექტში ის აზრია გატარებული, რომ ტყის გამგე მარტო მოხელე-კი არ უნდა იყოს მთავრობისა, არამედ ნამდვილი გამოცდილი პატრონიც მინდობილის ადგილისაო. ტყის გამგებლებს კიდევ მოუმატებენ. ახალი პროექტი ამ შემოდგომაზე მოხსენდება სახელმწიფო საბჭოს.

*** ქალაქის კასაში გასულ თთვეში შემოსავალი 43,148 მანეთი და 37 კაპ. ყოფილა, მხოლოდ ამ ნახევარ წლის განმავლობაში ე. ი. პირველ იანვრიდამ პირველ ივლისამდე —364,935 მანეთი და 67 კაპ. ამავე დროს ქალაქის გამგეობას დაუხარჯავს: გასულს თთვეში 45,857 მ. და 42 კ. და ნახევარ წლის განმავლობაში-კი —361,233 მანეთი და 8 კაპ.

*** ავლაბარში გასულს კვირას, პოლიცია, პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მეშვიდე განყოფილების მზრუნველის ბ-ნ რევაზოვის საჩივარისა გამო, წასულა და აღმოუჩენია ჩუმი საყასბო, სადაც ყასბები თურმე ჩუმად ხოცავდნენ საქონელს, რომ ქალაქს ბაჟი არ ვაძლიოთო.

*** გუშინ თეირანიდამ მოსული დეპეშა გვაუწყებს, რომ მისი უდიდებულესობა ნასრ-ედინ სპარსეთის შაჰი ავად არისო.

*** სწორედ რომ საზღვარი აღარა აქვს ჩვენის ჯიბგირებისა და ქურდბაცაცების სიავკაცეს. ისეთ ნაირად დანავარდობენ, თითქოს არც შიში და არც მორიდება არავისი და არაფრისა არა ჰქონდეთ. გუშინ-წინ, ღამის 10 საათზე იარმუკის ერთს სამიკიტნოს კარებზე ვიღაცა თავზე ხელ-აღებულმა ჯიბგირმა ჩასტაცა ჯიბეში ხელი ერთს საწყალს ხელოსანს და 15 მანეთი ქისიანად ამოაცალა; გამოუდგნენ უკან პატრონიც, სხვა ხალხიცა და პოლიციელიც, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ ველარა გააწყვეს-რა. ანაზდეულად ისე მიიჩქმალა, რომ ვეღარავინ ვერა გაიგო-რა. ორის დღის წინადაც მელვინოვის არყის საწყობთანაც თითქმის ამ გვარივე ამბავი მოხდა. დილმიდგან ჩამოსულიყო გ. სონგულაშვილი, რაც რამ ევაჭრა, ხურჯინში ჩაელაგებინა და ახლა მელვინოვთან შებრუნდა არყის სასყიდლად; ხურჯინიც იქვე საწყობის კარებზე დასდო. ერთს წუთს შემდეგ აღრსად აღარც ხურჯინი იყო, არც იმის წამლები სჩანდა ვინმე.

*** ამ დღეებში, ვიღაც ნ. ზარიძემ გამოსცა ერთი პატარა წიგნი, სახელდობრ: „სამხიარულო თაიგული“. შიგ მოქცეულია სხვა და სხვა სიმღერები და ღირს ორი შაური. ჩვენ არ გვეგონა, რომ ქართულს ენაზე ოდესმე ასეთი წიგნი დაიბეჭდებოდა: ლექსები მეტის-მეტად საჩოთირო შინაარსიანებია.

*** ჩვენ მივიღეთ ზ. ჭიჭინაძისაგან ახლად დაბეჭდილი სახალხო წიგნი „არსენას ლექსი“ მეთექვსმეტე გამოცემა. წიგნში ჩართულია სამი სურათი: არსენა და ნათლი-მამა, არსენა და ურიები და არსენას დაპატიმრება.

*** ერთს ქართველს მწერალს მწიგნობარს რუსულის ენიდამ ქართულს ენაზე უთარგმნია ექიმ ბრაუმის თხუზულება „ხელთ მრუშება“. ეს თარგმანი კარგა ხანია. რაც დაუბეჭდავი იყო და ამ შემოდგომაზე-კი დაიბეჭდება.

*** სოფ. დიდ-ჯიხაიში (ქვემო იმერ.) 28 ივნის. ძლიერ შეწუხებული ვიყავით გვალვისაგან მაისის პირველიდგან ივნისის ნახევრამდე; რაც დათესილი რამ გვებადა, ჩვენსკენ პირი არ უჩნდა, ისე დახრუკა და დასწვა სიცხემ. ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და იძახდა, ამოვწყდით სიმშილითო. რა უქმეები არ შემოიღეს, და რა სალმრთოები არ დააპირეს; ბოლოს, ბევრის ლოდინისა და ვედრების შემდეგ, 18 ივნისს, გვეღირსა წვიმა და გააგრილა თონესავით გახურებული დედამიწა, გაანედლა და კვლავ განაახლა სიცხისაგან დამწვარ-დახრუკული ყანები; ხელ-ახლად აგვიმწვანდა მინდვრები და გაჩაღდა ხვნა-თესვა, თითქო გაზაფხული ახლა გვეწვიაო; იმედი მოგვეცა და ვგონებთ, გადავრჩეთ იმ უბედურებას, რაც კარზედ გვადგა.

რამდენისამე წლის წინად ჩვენში იყო ერთი ძველებური ჩვეულება, რომელიც ამ ორ-სამს წლებში გადავარდა და ახლა წელს-კი ხელ-ახლად შემოიღეს. მე მოგახსენებთ პარასკევის უქმობაზე. წელს გვალვისაგან შეწუხებული ხალხი ზოგიერთთა ჩაგონებით და ქადაგებით პარასკევის დარღვევას რაცხდა მიზეზად ამ უბედურებისა. ამისათვის მოინდომეს პარასკევის ხელ-ახლად გაუქმება და მოთავეებისა და მამასახლისის შემწეობით დანიშნეს ყრილობა და ხალხს პირობა დაადებინეს პარასკევის უქმობაზე. თუ ვინმე დაარღვევს ამ პირობას, ჯარიმა უნდა გადაიხადოს.

*** იქიდამვე: დიდი ხანია ხმა დადიოდა, რომ ხონში ცხენის წყალი გამოჰყავთო. ეს ხმა, როგორც ვიცით, უკვე სისრულეში მოვიდა წელს და ახლა ხონში გაცხარებული მუშაობაა და ამ მოკლე ხანში კიდეც მოთავდება. ორი მესამედი ხონში გამოყვანილ წყლისა უნდა გამოიყვანონ ჩვენს სოფელზედ, რისთვისაც უკვე იკრიბება ხუთას თუმნამდე, მაგრამ ამ საქმესაც გაუჩნდნენ კბილის მატლები. საქმე იმაშია, რომ დღემდე ამ საქმისათვის კაცი ყურს არ იბერტყდა და ახლა, რა ნახეს გაკაფული გზა, ყველა თავისთვის იწევს და ყველას სურს, თავისს ეზოზედ გაიყვანოს. ამის გამო ბევრნაირი უთანხმოებაა, მაგრამ იმედია, რომ ბ. ნ. ნ—ძე, ვისის თაოსნობითაც ეს საქმე არის ჩვენში დაწყებული, პატიოსნად და კეთილად დაასრულებს.

*** იქიდამვე: 27 ივნისს ჩვენში გლეხს ს. კაჭახიძეს ნაჭაურში დაერჩო ერთად-ერთი 7 წლის ვაჟი. საწყალი დედის ერთა თურმე მამას გაჰყვა სამუშაოზე და, როდესაც მამა მუშაობდა, ყმაწვილი თავისთვის ცალკე თამაშობდა ღვარში, რადგანაც ახალი ნაწვიმარი იყო. ღვარმა ყმაწვილი გაიტყუა ნაჭაურთან, რომელიც წყლით ამოვსებულიყო, და შიგ ჩავარდა. მამამ ყმაწვილი ეძება და რომ ვერა ნახა, იფიქრა, ყმაწვილებთან იქნება სათამაშოდაო, და ისევ თავისს საქმეს შეუდგა. ორის საათის შემდეგ დაუწყეს ყმაწვილს ძებნა და დამრჩვალი იპოვნეს ნაჭაურში.

*** საქალებო საზებიო კურსების პროგრამის გადასინჯვა მთავრობას იმ ანგარიშით განუზრახავს, რომ ეს პროგრამა უფრო შეავსოს. ამავე დროს განხილული იქნება ამ კურსების მაგვარის საზებიო სასწავლებლების პროგრამაც იმ აზრით, რომ ეს სასწავლებლები და კურსები ერთი ერთმანეთს შეუფარდონ და შეუსწორონ (გაზ. „პეტ. ვედომოსტი“).

*** ივლისის 5 სამგზავრო ფოსტის მეეტლემ ანტონ სარაჩევმა ფოსტის სტაროსტის თანაშემწეს საბიტა ხურამშინს მოჰპარა 17 მ. და 20 კ. ნივთეული. დამნაშავე შეიპყრეს.

*** 5 ივლისს, საღამოს შვიდს საათზე საპიორის ქუჩაზედ ლუარსაბ კვიკვაძის სახლის სარდაფში ანთებულის ლამპის მიზეზით ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა იქ დაწყობილი ყუთები. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. სახლი ოთხი ათასს მანეთშია დაზღვეული. ნალბანდოვი, რომელსაც ეს სარდაფი ქირით ეჭირა, პასუხის გებაში მისცეს, რადგან სარდაფში ნება დაურთველად დაეწყო ნავთი

## არჩილური შვიდ-თავი,

(საამდროო ამიცანები)

—

პალსა უხდის სამშობლოსა: წერით,
თარგმნით, სამსახურით,
არცა ამღვრევს ღვიძლსა ენას უცხო
წყობით, უსახურით;
ნებაზე თხზავს, სწორად სთარგმნის, —
არ დაათრევს ავტორს ყურით,
ოთხ-ხუთს ენას შეაწობებს, რომ გამოსთქვას თვისებურით.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეჩხუმის მაზრა**, 3 ივლისი. ჩვენს მაზრაში ფულის შეძენისათვის განზრახ კაცის კვლა, გზაზედ დახვედრა და გაძარცვა მოგზაურთა იშვიათი ამბავი გახლდათ. ამ მხრით საკმაოდ მოსვენებული და უშიშარნი გახლდით ლეჩხუმის მკვიდრნი. ეხლა-კი, სამწუხაროდ, ამ მხრითაც ცუდმა ნიშნებმა იჩინა თავი და შესაძლებელია, ეს მყუდრო და მოსვენებული მდგომარეობა მალე გამოგვეცალოს ხელიდამ და ყოველის თითო-ოროლა

თავად-აზნაურობისას. ჩვენის დედაკაცებისათვის-კი ასეთი შრომა და გარჯა ჯერ-ჯერობით სრულიად ხელმისაწვდომი არ არის, ერთის მხრით ჩვენის დროების საზოგადო ვითარების გამო და მეორეს მხრით იმის გამო, რომ ჩვენი დედაკაცები მოუმზადებელნი არიან ამ გვარ შრომისა და გარჯისათვის.

რაიცა შეეხება ოჯახის სფერას, ანუ უკედ ვსთქვათ, მის მანძილ-მოკლე სარბიელს, ამ ასპარეზზედაც ეხლანდელს დედაკაცს ბევრი ვერაფერი გაუთეთრებია. თუ გონება-ზნეობით თანაბარი და ერთ გვარი წარმატება ცოლ-ქმართა, თუ საერთო და თანაბარი ზრუნვა ოჯახის კეთილდღეობისათვის, თუ ერთნაირი საზოგადოებური სურვილი ორივესი მეტს სიმტკიცეს აძლევს ცოლ-ქმრობის კავშირს, ცხადია, მაშ, რომ ამ მხრით, ძველებური დედაკაცი უფრო კარგს ყოფაში იყო, ვიდრე ეხლანდელი.

წინად ცოლსა და ქმარს შუა ბევრად უფრო ნაკლები განსხვავება არსებობდა, ვიდრე ეხლა. მართალია, ყმაწვილ-კაცობაც დიდად და დიდად სამწუხარო მდგომარეობაშია, მაგრამ მაინც, რაც უნდა იყოს, მან დედაკაცებზე გაშორებით უფრო მეტი უნარი გამოიჩინა და შეუფარდა თავისი ძალ-ღონე ახალ დროების ვითარებას და იმასაცა ცდილობს, რომ თვით დროების ვითარებაც შეუფარდოს თავის სასურველს აზრებსა, თავის იდეალებს. ამ გარემოების წყალობით მამაკაცი ბევრად უფრო ნაკლებს ზარალშია ჩვენის ცხოვრების დღევანდელ სოციალურ დუღილის გამო, ვიდრე დედაკაცი.

ამ გარემოების მიზეზით დაირღვა ის ურთიერთობა ტოლისა და სწორისა მამა-კაცსა და დედაკაცს შორის, რომელიც წინად არსებობდა. დაირღვა ის ურთიერთობა და მით დაიჩაგრა დედაკაცი, რომელიც ძალა-უნებურად უკან ჩამორჩა მამა-კაცს. ამიტომ, რაღა საკვირველია, რომ ამ ჩვენის დროების ცოლ-ქმრობას მძიმე ტვირთად აწევს კისრად შედეგი იმისი, რომ მამანი და დედანი თანაბარისა და უმეტ-ნაკლებო წარმატების პატრონები არ არიან. ამიტომ არის, რომ ეხლანდელს ჩვენებურს ოჯახიანობას ემჩნევა ასეთის მოუსვენრობისა და შეშფოთების ხასიათი, ერთნაირად სამძიმო და საზარალო ცოლისათვისაცა და ქმრისათვისაც.

მერე, შვილების აღზრდა, ეს დედა-კაცის დაბადებითვე თან-დაყოლილი საქმე. ეს საქმეც ჩვენს დედაკაცს ხელიდამ წაუვიდა—ზოგი იმიტომ, რომ აღზრდის საქმე რთული და ძნელი შეიქმნა და მის გაძღოლას ვერ ახერხებს თავის მცირედის მომზადების გამო შუათანა ღირსების ქართველი დედაკაცი. მის წინა მოადგილეს-კი, ასე იყო თუ ისე, ავად თუ კარგად, მაინც შეეძლო თითონ აღეზარდა თავისი შვილები დროების მოთხოვნილების დაგვარად; ხოლო ეხლანდელს დედაკაცს ეს არ შეუძლიან და ამიტომ იძულებულია თავისი შვილები ან უცხოს ჩაუყაროს ხელში, ან არა და—ყოველივე ღვთის ანაბრობაზე მიაგდოს.

თუ ესე ულონოა ჩვენი დედაკაცი ოჯახსა და კერძო ცხოვრებაში, მისი ულონობა და უმაქნისობა უფრო თვალ-და-თვალ დასანახია საზოგადოების სამსახურის დიდსა და ვრცელს სარბიელზე. თითო-ოროლა დიდად სასიამოვნო მაგალითი რომ არ ვიანგარიშოთ, დანარჩენი უდიდესი და აუარებელი უმრავლესობა ჩვენის დედაკაცებისა თავის წინამოადგილეებზე დაბლა სდგას იმ მხრით რომ, იმათზე ნაკლებ ესმის საჭიროება თავის დროებისა და ის კანონები, რა კანონებსაც ექვემდებარება ზრდა-წარმატება ქვეყნის ცხოვრებისა. მართალია, წინად იგი საჭიროება დროებისა სადა და მარტივი იყო, იმიტომ მის გაგებასა და მიხვედრას ნაკლები ძალაც უნდოდა ჭკუისა და ზნეობრივის წარმატებისა, მაგრამ სამაგიეროდ დედაკაცი მაშინ სწორედ იმ სიმაღლეზედ იდგა, რა სიმაღლეზედ დგომასაც ითხოვდა მისგან მაშინდელი დრო. ეხლა ცხოვრება ბევრად უფრო რთული შეიქმნა, საზოგადოებურის წარმატების მიზეზები ბადეს ძაფივით გაიბ-გამოიბა, ამიტომაც, იმის გასაგებად, თუ როგორია დღევანდელი ვითარება, რომ მის შესაფერად იმოქმედოს კიდეც კაცმა სამშობლო ქვეყნის სასარგებლოდ, საჭიროა ბევრად მეტი წარმატება გონებისა, ბევრად მეტი ნაწვართობა ხასიათისა და ბევრად მეტი მგრძნობელობა, ყურ-მახვილობა სვინიდისისა. ყოველ ამ გარემოების გამო ჩვენმა დედაკაცმა ვეღარა მოახერხა-რა და ჩამოჰყარა ყურები; აღმოჩნდა, რომ თითქმის ვერც ერთს შემთხვევაში ვერ მოასწრო პატარა წინ წასულიყო და მოსწეოდა ცხოვრებას, რომელიც ასეთის ფეხ-მარდობით მირბის და მიჰქრის წინ. ხოლო რადგან ცხოვრების მღელვარებასა და მაჯის ცემას ყოვლად შეუძლებელია მოერიდოს ცოცხალი ადამიანი და წევრი საზოგადოებისა, და რადგან ეხლანდელს დედაკაცს არც გარკვეული პროგრამა აქვს მოქმედებისა და არც წარმატებული, განმახვებული გონება, მეტი ღონე არ არის ეხლანდელმა დედაკაცმა წინ უნდა გაიმძღვაროს ცხოვრებაში ცარიელი გრძნობა, მიხვედრილობა და სხვა-და-სხვა, უფრო გარეგანის თვისების, მოსაზრებანი.

ყოველსავე ზემორე თქმულს რომ თავი-თავს მოვუყაროთ და ერთს ნიშან ქვეშ დავნიშნოთ, უნდა ვსთქვათ, რომ ეხლანდელი ქართველი დედაკაცი, შუათანა ღირსებისა და არა განსაკუთრებულისა, ერთს ნაპირს დაჰშორებია, მეორემდე ვერ მიუღწევია და ჭალიანის ჭაობაში ჩაფლულა. რასაკვირველია, საკუთრად თვითონ არ არის ამაში ბრალეული. ბრალეული არც მისი ბოროტი ანუ კეთილი ნება-ყოფლობაა. თუ ბრალი აქვს ვისმე, ისევ საზოგადო დროთავითარებასა აქვს ბრალი. ხოლო ჭაობიდგან ამოსასვლელად საჭიროა უწინარეს ყოვლისა, პირველად, ცოდნა და შეგნება მისი, რომ ჭაობი მართლა არსებობს; ეს ერთი და მეორედ საჭიროა ჩვენმა დედაკაცმა მოინდომოს, მოინდომოს სულითა და გულით, რომ აი ახლა მაინც ვეცდები წავიდე წინ და მივუახლოვდე, ან იქნება სულაც მივაღწიო იმ სამშვიდობო ნაპირს, იმ აღთქმულს კიდესაო.

გ. მაიაშვილი

გროშის პატრონის სიცოცხლე ეჭვიან მდგომარეობაში ჩავარდეს.

აი ამისი წინა მორბედი ნიშნებიც:

გავლილის ივნისის თთვის მეორე ნახევარში მოჰკლა რევოლვერით დ. ლაილაში მცხოვრებმა ვანო მირიანოვმა ერთი მეგრელი მეცხვარე. აი როგორ მომხდარა ეს საქმე: ხსენებული მეცხვარე მეგრელი, კარგა ხანია, რაც თავიანთს თხა-ცხვარს აძოვებდა უბრწყინვალესის თავადის გრიგოლ დადიანის და თთ. გელოვანების საძოვარს მთებში და იქ იყო დაბინადრებული. საცოდავს მეგრელს ხშირად ჩამოჰყავდა თავის ბინიდამ სოფლებში და აგრეთვე ლაილაშიაც გასასყიდლად ბატკნები და ჩამოჰქონდა აგრეთვე ყველი, მაწონი და ამგვარი ნაწარმოები. ამ უკანასკნელს დროსაც ჩვეულებრივად ჩამოუყვანია ლაილაში გასასყიდად ბატკნები და გაუყიდნია კიდეც; მკვლელს მირიანოვს თვალი უდევნებია მეგრელისათვის და, რაკი შეუნიშნავს ფული აქვსო, განუზრახავს მისი მოკვლა და შემდეგ გაძარცვა. გაბრუნებულა თუ არა მეგრელი მთაში, მირიანოვიც გაჰყოლია უკან, ვითომდა მთაში ცხენის დასაჭერად და ჩამოსაყვანად. რამდენიმე გზა ერთად გაუვლიათ მეგრელსა და მირიანოვს მარტოკა. ბოლოს მიუღწევიათ ერთს წყაროსთან, მეგრელი დაყრდნობია წყაროს და დაუწყია სმა; ამ დროს უპოვია მარჯვე დრო მირიანოვს თავის საზარელის განზრახვის შესასრულებლად, დაუცია თავში რევოლვერი საცოდავის ადამიანისთვის და იქვე სული გაუფრთხობინებია. შემდეგ ამოუღია ჯიბიდამ, რაც-კი ჰქონია ფული, და გამოსდგომია შინასაკენ გზას. გაუვლია თუ არა მცირეოდენი მანძილი, გზაში შეხვედრიან სამი-ოთხი კაცი, მთაში მიმავალი და უკითხავთ, სად იყავიო? მირიანოვს უპასუხნია: მთაში ვიყავი ცხენის დასაჭერად, მაგრამ ვერ ვნახე და გზაც დამებნაო: ხსენებულს კაცებს, მისულან-რა წყაროსთან, უნახავთ უსულო გვამი, სისხლში მოსვრილი, საცოდავის მეგრელისა, მკვდარი უცვნიათ და ეჭვიც მირიანოვზე მიუტანიათ. მალე გამოუცხადებიათ კიდეც ადგილობრივის მთავრობისთვის, რომ ასე იყო საქმეო. მთავრობამ შეიპყრო მირიანოვი, რომელიც გამოძიების დროს გამოტეხილა და თავი დამნაშავედ უღიარებია. აგრეთვე პასუხის-გებაში მისცეს ლაილაშივე მცხოვრებელი საია ჯანუოვი, რადგანაც მკვლელს მირიანოვს უთქვამს ჩვენების ჩამორთმევის დროს: ჯანუოვმა მირჩია და გამაბედვინა მეგრელის მოკვლა და ფულიც შუაზედ გამიყოვო. ყველაფერი მისის რჩევით ჩავიდინე, რევოლვერიც იმან მიშოვაო და სხვ.

მეორე კაცის კვლა მოხდა სოფელს მექვენას. ქვრივმა დედაკაცმა ნ—სამ მოჰკლა აზნ. გ—ანი. აი ეს საქმეც როგორ მომხდარა: გ—ანი მისულა ქვრივთან უდროვო დროს, როგორც ამბობენ, ცუდის განზრახვით. ნ—ძისა არ დაჰნებებია, აუღია ნაჯახი და სამს ალაგს მძიმედ დაუჭრია უდროვო სტუმარი. ჭრილობა ისეთი მძიმე აღმოჩნდა, რომ რამდენისამე დღის შემდეგ გ—ანი დარდაიცვალა.

ამ რამდენისამე დღის წინად დ. ონიდამ ქუთაისს მიმავალი ურია გაძარცვეს გზაზედ; ადგილობრივი პოლიცია დროზედ დაფაცურდა და შეიპყრო კიდეც ერთი კაცი, რომელიც ურიას უცვნია და უთქვამს, ჩემ გამძარცველებში ეგ კაციც ერიაო.

ამ სამწუხარო ამბავს გარდა სხვა უსიამოვნო ამბავიც არ დაგვაკლდა ამ ივნისში. თორმეტს ივნისს მოვიდა ძლიერი სეტყვა და ერთობ დიდად დაიზარალა შემდეგი სოფლები: ჟოშხა, მენდეში, უსახელო და სხვ. ამ სოფლებში, როგორც ვენახები, ისე ძირის მოსავალიც, ისე გააფუჭა, რომ მნახველს თვალზედ ცრემლს მოჰგვრის. სამწუხარო მით უფროა ეს ამბავი, რომ წელს ჩვენს მაზრაში ვენახებს ძლიერ კარგად ესხა და კარგს მოსავალსაც მოელოდნენ. სოფ. უსახელოს ისეთი სეტყვა და ნიაღვარი ყოფილა, რომ რამდენიმე სული საქონელი წაუღია და ერთი მწყემსიც დაურჩვია.

ქაიხოსრო გელოვანი

---

**საბაბშიო** 28 ივნისი. წარსულს ივნისის ოც-და-ოთხს ს. ხცისში დღეობა „ივანობა“ იყო. უმრავლესს ხალხს მოეყარა თავი და ლხინობდა ეკკლესიის გალავანში. როგორც ყველგან საქართველოს ადგილებში, აქაც ყველა გლეხი და აზნაური მომზადებულია ხოლმე რიგიანად ამ დღისათვის და თითოეულს მეკომურს ჰყავს მიწვეული სტუმრები. საზოგადოდ დღეობა კარგია, მაგრამ უზომოდ სარჩო-საცხოვრებელის მიფლანგვა, და ერთის წლის სარჩოს ერთს დღეს დახარჯვა-კი ვერაფერი მოსაწონია და საქები.

ხსენებულს დღეობაზედ ორმა აზნაურმა დიდად გაანაწყენა ზემო-ჰალის მცხოვრებელი გლეხი ვანო ალაჯანაშვილი, რომელიც ცოლით მიწვეული იყო ს. ხცისში აზნაურს იოთამაშვილთან... იოთამაშვილი ძლიერ კარგად დაუხვდა თავისს სტუმრებს. სხვებთან ერთად იმ ორმა აზნაურმაც კარგად მიირთვა ღვინო. გლეხი ვანო ალაჯანაშვილიც ცოტათი შექეიფიანდა, ადგა სუფრიდგან,ააყენა თავისი ცოლიც, გამოვიდა გარედ, მოამზადა ჩარდახიანი ურემი და მერმე შევიდა ხელმეორედ მასპინძელთ გამოსათხოვებლად და მადლობის გადასახდელად. როდესაც ალაჯანაშვილი მორთულის ცოლით გარედ გამოვიდა, ხსენებულმა აზნაურებმა თვალი გამოაყოლეს. ალაჯანაშვილი წამოვიდა ურმით თავის სახლისკენ; გამოვიდა იგი უკვე მდინარე მტკვარში და მოდიოდა ღიღინ-ღიღინით ფშატის ტყეში, რომელიც საბაბშიოს აღმოსავლეთის სამზღვარზეა. ამ ადგილას მოეწივნენ ხსენებულნი აზნაურნი და ირგვლივ შემოერტყნენ ურემსა; დაუწყეს სახრებით ცემა ალაჯანაშვილსა იმ განზრახვით, რომ ქმარი მოეშორებინათ ® ცოლი გაეუპატიურებინათ. მართლაც, დიდს ცემას ველარ გაუძლო საწყალმა გლეხმა, მიანება ურემი ქალით და ყვირილით გაიქცა ტყეში. კაცის ენა ვერ იტყვის, ამ დროს რა საცოდავად ყვიროდა და ტიროდა საწყალი ქალი, რომელსაც თავ-აღებულნი აზნაურნი ებღაუჭებოდნენ. აზნაურებმა ვერ მოასწრეს და ვერ გაიტაცეს ქალი, რადგან იმისს ბედზედ გამოჩნდა დღეობიდამვე მომავალი კაცი, რომელსაც ქალმა შეჰყვირა და ემუდარებოდა, მიშველეო. ქალმა რომ ყვირილი დაიწყო და ის კაციც უახლოვდებოდა ამათ, აზნაურებმა დამბაჩები დასცალეს და ხანჯლებს დაუწყეს ტრიალი ქალის დასაჩუმებლად. ამ დროს კიდევ გამოჩნდა დღეობიდამ მომავალი ალაჯანაშვილის მეზობელი, გლეხი მცხვედაძე, რომელმაც დაინახა რა ეს ამბავი, ხმა-მაღლა დაუძახა იმ მეზობლე თათრებსა, რომელთაც ფშატის ტყის სიახლოვეს აბაშიძეების ადგილებში ბაღები აქვთ. ყვირილზედ თათრებმა ხანჯლებითა და კეტებით საჩქაროდ მოირბინეს მყვირალის კაცისაკენ და ამ დროს რომ აზნაურნი არ გაქცეულიყვნენ, ნამდვილად დახოცდნენ; ეს თათრები იცნობდნენ ვანო ალაჯანაშვილის მამას პავლესა... ენა ჩავარდნილი ქალი მცხვედაძემა და მეორე კაცმა დაუსვეს ურემზე და წამოიყვანეს თავის სახლში ს. ზემო-ჰალაში. ქალის ქმარმა ამავე დღეს გამოუცხადა ხაშურის ბოქაულს ბ. აკოფოვსა, რომელმაც შეიპყრო დროებით ის აზნაურნი, შეუყენა ოქმი და მერმე ისევ გაანთავისუფლა თავდებითაო, როგორც ამბობენ. გამოძიება სწარმოებს.

საბაბშიოელი

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამას წინად გაისმა ხმა, და ეს ხმა ჩვენს გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი, რომ გაზ: „Нов. Обозрѣніе“ ახალ რედაქციის ხელში გადადის, ეხლანდელს პატრონს ამ გაზეთისას გაუყიდნია და თავს ანებებსო. ეს ხმა გამართლდა კიდეც: წარსულ პარასკევის ნომერს ქვეშ აწერია: „დროებითი რედაქტორი თ. ვ. მ. თუმანიშვილი. გამომცემელი თ. კ. მ. თუმანიშვილი“. ამ ნომერში დაბეჭდილია მეთაური წერილი, სადაც ახალი რედაქცია ცდილობს გააცნოს მკითხველს თავისი პროგრამა, თავისი profession de foi, ის გზა, რომლითაც სიარულს აპირებს, და ის კვალი საჟურნალო ასპარეზზედ მოღვაწეობისა, რომელსაც უნდა დაადგეს. წერილი ასე იწყება:

ამ ნომრიდგან „Новое обозрѣніе“ ახალის რედაქციით გამოვა. ეს შემთხვევა გვლდებულ გვყოფს, გამოვსთქვათ დღეს საზოგადოდ ის აზრი, რომელიც საძირკვლობას გაუწევს ჩვენს მოღვაწეობასა.

რა ჰსურს გაზეთს?

ჩვენ, უწინარეს ყოვლისა გვსურსო, განაგრძობს მეთაური წერილი: რომ ჩვენმა გაზეთმა ჭეშმარიტად აღნიშნოს ყოველი ახლად თავ-აჩენილი საჭიროება კავკასიის მცხოვრებლებისა, რასაკვირველია, სარწმუნოების, ეროვნების, ხელობის და სხვ. განურჩევლად. კავკასიის მცხოვრებნი მეტად სხვა-და-სხვა გვარნი არიან და ყოველის ცალკე ნაწილის ინტერესი არამც თუ მეორეს არ უდგება მხარში, არამედ სრულიად მისი წინააღმდეგიც-კია. ამასთან სათქმელია ისიც, რომ ყოველ ნაწილის ინტერესი ყურადღების ღირსია და უფლებაც აქვს ეს ყურადღება მოითხოვოს სხვა ნაწილებისაგან. უარს ვერ ვყოფთ იმასაც, რომ ამ ნაწილებს საერთო საჭიროება, საერთო აზრი, საერთო საქმეც აქვთ და ეს უნდა იყოს, ჩვენის აზრით, უმთავრესი საგანი ადგილობრივის გაზეთის მსჯელობისა. ამ ცალ-ცალკე ნაწილების ინტერესთა შეხლა-შეჯახების დროს გაზეთი ვალდებულია იცოდეს მძიმე, მაგრამ საპატიო შრომა მათის მორიგებისა, ურთიერთს შორის სამართლიანის შეთანხმებისა. საზოგადოებრივი ინტერესები, ჩვენის აზრით, გარეგანი-კი არ უნდა იყოს ერთმანეთთან შეთავსებულ-მორიგებული, ყოველ ნაწილის ბუნებრივი მოთხოვნილება უარ-ყოფილ-კი არ უნდა იქმნას, არამედ მათი ურთიერთობა უნდა დაემყაროს ერთმანერთის სულიერსა და მატერიალურს ნათლად გაგებულს საჭიროებაზედ, ან, ესეც რომ არ იყოს, ერთმანეთი გულ-წრფელად უნდა შეიშვნიონ და შეიწყნარონ მაინც.

შემდეგ გაზეთი უფრო დაწვრილებით განმარტავს ამ აზრს და ამბობს, რომ ცხოვრება ყოველის ერისა ხშირად მიჩუმ-მიყუჩდება ხოლმე, მდორედ მიმდინარეობს, საზოგადოებრივი ინტერესები სუსტდება, საზოგადოება იქსაქსება, თავ-მოყვარეობა მეტად ფეხს იდგამს, ერთმანეთის მტრობა და ბოროტი ვრცელდება. ასეთი მდგომარეობა ხშირად დიდხანს, ათის წლობით გასტანს ხოლმე და გაზეთი თუ ჟურნალი ვალდებულია გამოაღვიძოს და გამოაფხიზლოს საზოგადოებაო. მერე რა საშუალებით ჰსურს გაზეთს ასეთს მდგომარეობაში მყოფ საზოგადოების გამოფხიზლება? იმ საშუალებით, რომ

უნდა აღძრას ხოლმე საერთოდ საინტერესო საგნები, საინტერესო საზოგადოების უმთავრესობისათვის, ისარგებლოს ხოლმე ყოველ დღიურის ამბებით და გამოარკვიოს მთელის საზოგადოებისათვის საყურადღებო საგანი, ხანდახან-კი ისეც აღნიშნოს ის ამბავი, რასაც საზოგადოებრივი ცხოვრება მოიგდებს პირზედ და რაც თვითვე დააფიქრებს მკითხველს.

დასასრულ, ახალი რედაქცია ჰბრძანებს, რომ

იმედი გვაქვს, ასეთი პროგრამა უფრო შეასუსტებს საზოგადოებრივად არა-სასურველს მისწრაფებას ტარტიუფებისა, ფამუსოვებისა და სხვა იმის მსგავს წარმომადგენელთა, რომელთაც თავისი ცხოვრება უკვე მოუჭამიათ, ვიდრე პირადობის შემლახველი კამათობა, რომელიც ნახევარს პროვინციის გაზეთობისას ლიტერატურის მაღაზია და დონედ მიაჩნიათ. ჩვენი სურვილი ის არის, რომ გაზეთის ჩვენი საზოგადოების გონიერ ნაწილის ორგანო იყოს, და ამ საზოგადოებაზედ-კი ჩვენ უფრო კარგის აზრისანი ვართ, ვიდრე ისინი, რომელნიც თავის მკითხველთა გართობას მამლების ძიძგილაობითა სცდილობენ. ჩვენს ისა გვსურს, რომ ჩვენის პროგრამით განცხოველებული სიტყვების სროლა და მიხლა-მოხლა-კი არ გამოვიწვიოთ, არამედ განცხოველებული აზრი აღვძრათ, განცხოველებული საქმე, და ამისათვის-კი, ჩვენის ფიქრით, საკმარისია მარჯვედ აღვნიშნოთ ის მაღლობელი იდეალები, რომელსაც უნდა ეტანებოდეს საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა ყოველ დღიურ, პრაქტიკულ მოღვაწეობის დროს.

ამ უკანასკნელს სიტყვებს იმიტომ ვამბობთ, რომ გაზეთი, ბუნებით, ჩვენის აზრით, განყენებულ აზრთა გასავრცელებელ კათედრობას ვერ გასწევს, არამედ ყურადღებით და გულდადებით უნდა უგდოს ყური საზოგადოების მაჯის ცემას და ყოველი ცვლილება მაჯისა აღნიშნოს. თუ ამასთან ყოველთვის შეიძლებს საერთო სურვილის გაგებას, გამოსთქვამს და აღნიშნავს იმისს აზრსა და მნიშვნელობას, საერთო საკეთილდღეო გზის ჩვენებას შეიძლებს, მაშინ თავისი მოვალეობა, ჩვენის აზრით, სრულიად მოხდილი ექნება.

სრულიად ვეთანხმებით და თანავუგრძნობთ რედაქციის მიერ გამოთქმულს აზრს გაზეთის მნიშვნელობის შესახებ და ვისურვებთ კიდეც, არ გადასცდეს თავის მიერვე აღნიშნულს გზას, რომელსაც უნდა ადგეს თავისს სამოღვაწეო ასპარეზზედ შრომის დროს, და დღეს სიტყვად გამოთქმული პროგრამა საქმითაც განეხორციელებინოს.

**

სასიამოვნოდ აღსანიშნავია ზემოხსენებულს ამბავში აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ახალი რედაქცია გაზ. „Новое Обозрѣніе“-სი ეხლავ ზურგს უბრუნებს, სიტყვით მაინც, თუ საქმით არა, ყოველსავე საპირადო ანგარიშებს და ამბობს, რომ ჩვენ ჩვენის მკითხველების მამლაყინწურის ძიძგილაობით გართობა არა გვსურსო. ეს სიტყვები არაფრად სჭამნიკებია გაზ. „Тиф. Лист.“-ის დევ-გმირს და უკიჟინებს ახალს რედაქციას, ყველაფერს კარგს ამბობს, მაგრამ ეგ ერთი ადგილი არ მომწონსო. აცხადებს-რა ამ თავის არ-მოწონებას აი რა პრტყელ-პრტყელ და კოპიტ-კოპიტ სიტყვებს ამტვრევს:

უმწვერვალესობა არსად და არაფერში მოსაწონარი არ არის და სძაგს კიდეც ადამიანის გაუდუსჭირებელს ბუნებას. ყოველ პოლემიკის მამლაყინწურ ძიძგილობად ჩათვლა ისეთივე უსაფუძვლობა და უგუნურებაა, როგორც ის, რომ ყოველ დაღვრემილს ფილოსოფოსს სასხდარი ვუწოდოთ (რა შედარებაა, აფერუმ!). რას უნდა ელტვოდეს გონიერი პოლემიკა?—ჭეშმარიტების გამორკვევას!... რა გზით უნდა ეცადოს ამას?—ჭკუისა, ნიჭისა, ცოდნისა და რწმენის შებრძოლება—შეტოლებით! პოლემიკა ვერ აიცილეს თავიდგან მეცნიერებასა და ლიტერატურაში ისეთ გამოჩენილ კაცთაც-კი, როგორნიც არიან ოგიუსტ კონტი, ჯონ სტუარტ მილლი, ჰეინე, ბერნე, ბელინსკი, პუშკინი და სხ.

აბა „ბერუას გაუმარჯოს და აგურას მივდივარო“ ეს არის, აი გაზ. „Нов. Обозр.“-ა პირადობასა და მამლაყინწურს ძიძგილაობას უარ-ჰყოფს, „Тиф. Листокъ“-ის ზოილს-კი თავი მოუყრია შესანიშნავ კაცთა გვარებისათვის და დადარიგებას უკითხავს, გაზეთისთვის გონიერი პოლემიკა ყოვლად საჭიროაო. ჰკითხონ ერთი, განა, რედაქცია გონიერ პოლემიკის შესახებ ამბობს რასმე, განა მამლაყინწური ძიძგილაობა გონიერი პოლემიკაა?! სამწუხაროდ, გონიერს პოლემიკას ყველა თავისის ადლითა და საწყაოთი ჰზომავს და სწყავს და როცა გაზ. „Тиф. Лист.“-ის დევ-გმირნი უბრალო ბრალიანზედ ერთს ვაი-უშველებელს ასტეხავენ ხოლმე, პირადობის ასპარეზზედ დააჭენებენ თავაშვებულს კალამს, ორის გროშის საღირალს საქმეზედ ათის თუმნისას ლაპარაკობენ და ქარის წისქვილებს ებრძვიან, მგონი მაშინაც თავისი მამლაყინწური ძიძგილაობა გონიერი პოლემიკა ჰგონიათ და

ჯერ ვერ გაუგიათ, რომ ეს სულ სხვაა, ის სულ სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი...

### წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ პასუხად იმ სოფ. ქარელიდამ მოწერილის შენიშვნისა, რომელიც იყო დვბეჭდილი გაზეთ „ივერიის“ მე-136 ნომერში. ამ შენიშვნის მომწერი ამბობს, რომ 150 მანეთი დარჩა ქარელში ორის წარმოდგენიდგან ამ სამი-ოთხის წლის წინად და არ ვიცი, ის ფული ვის გარდაეცაო; ამ ფულის ანგარიში არც გაზეთებში იყო გამოცხადებულიო.

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მომწერი ციციშვილებს საზოგადო საქმეების თანამგრძნობელად გვიხსენიებს და ბოლოს-კი პიროვნობას ეხება, კერძოდ მეც მახსენებს ჩემის სახელისა და გვარის სათაურის ასოებით და სწერს, რომ სხვათა შორის დ. ც—ლიც ერია ამ საქმეშიო და არ ვიცით, ეს ფული სად გაჰქრაო. ეტყობა ამ შენიშვნის მომწერს მასალა შემოჰკლებია და ხუთის წლის წარსულს ამბავს ახალ ამბად იხსენიებს. დიდად სამწუხაროა, რომ მარტო «ივერია» უკითხავს და სხვა გაზეთებისთვის-კი თვალყური არ უდევნებია. როგორადაც ჩემი მოღვაწეობა ამ საქმეში, ისე სხვებისაცა და მასთან ანგარიში ზემოხსენებულის ფულისა მოხსენებული იყო თავისს დროზედ გაზეთს *«Нов. Обоз.»*-ში 1886 წ. 540 ნომერში. იქ ეწერა, რომ გორის პროგიმნაზიას ამ 150 მან. მიეცა 30 მან., ხოლო ერთს ღარიბს სტუდენტს—51 მან. დანარჩენი-კი მოხმარდა სცენას და წარმოდგენის შემდეგ თეატრშივე გამართულს ვახშამსაო. რაიცა შეეხება სხვა ფულს, რომელიც შემოვიდა სხვა დროსა და სხვა აზრით გამართულ წარმოდგენიდამ, მისი ანგარიში უნდა მოეკითხოს ჩემს შემდეგ ბილეთების გამყიდავს ს. ც—ლისას და მის ძმას ლ. ც—ლს, რომელთაც ის ფული უნდა გარდაეცათ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლისათვის და დღესაც-კი არ ვიცით, მიიღო რამ ფული ამ სკოლამ, თუ არა, რადგან აქამომდე იმ ფულის ანგარიში არც ერთს გაზეთში არ გვინახავს დაბეჭდილი.

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ციციშვილი

## დეპეშა

6 ივლისს

**პეტერბურგი.** 3 ივლისს საღამოზედ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ ლანგელონსკში, როჩენსალმის მახლობლად.

„Нов. Вр.“ იუწყება, საჭიროდ ცნობილ იქმნა, რომ ყველა გუბერნიებსა და მაზრებში დაარსდეს დაწესებულებანი ცეცხლის გაჩენის საწინაალმდეგოდ; აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქციეს ხის შენობათა წესების განკარგებას.

განზრახვა აქვთ 1892 წელს გამართონ გამოფენა ჰინახულის გასაკეთებელ, ხარისხ-ხარისხად დასაყოფელს და გასახმობელ მანქანებისა და იარაღებისა. გამოფენაზე იქნება აგრეთვე ხორბლეულობისა და თესლოულობის ღირსების გასასინჯი იარაღებიც.

„Новости“ იუწყება ქარგალთა გამოცდის წესდება უნდა გადაათვალიერონ და ამ ხარისხის მისაღებად უთუოდ საჭირო იქნება შემდეგში, რომ ცოტაოდენი სწავლაცა ჰქონდეს კაცსაო.

**ლონდონი.** ის ხმები, რომ ერთი დიდი ფორმა ფულს აღარ იძლევაო, ბაზარზე ძლიერ ცუდადა მოქმედებს.

**ვენა.** პრესბურგში ერცჰერცოგ ფრიდრიხის თანადასწრებით სცადეს ახლად მოგონილი ასაფეთქებელი წამალი, რომლის ხმარების შემოღებასაც აპირობენ ომიანობის დროს. ძალით ეს ახალი წამალი, სახელად ეკრაზიტი, დინამიტზე ორჯერ ძლიერია.

**ოდესსა.** მკა ხერსონისა და ბესარაბიის გუბერნიებში გაჩაღებულია. ხორბალი მოსალოდნელზე უკეთესია; კარგია და სავსე.

**ბომბეი.** ბევრს ალაგს ჰინახული ძალიან წახდა უწვიმოთ: სიმშილობისა ეშინიათ. მხოლოდ ბომბეის მიდამოებში იყო კარგი წვიმები.

**პარიჟი.** „Figaro“ იუწყება, რომ გერმანიის იმპერატორის ნახვის დროს მარკიზ სალისბერიმ არ მიიღო თაოსნობა იარაღის აყრის პროექტისა და სთქვა, შემდეგს ჩემს სიტყვაში გამოვაცხადებ, რომ ინგლისს ჰსურს, მეგობრულის კავშირის გაგრძობა ყველა სახელმწიფოსთანაო.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 30 | 7, 33 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 146¼ | 147 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 04 | 1, 06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა . . . . | 226 | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

### მ. მურტაზი

კვლავ განაგრძობს ინგლისურ ენის სწავლებას ზაფხულში: კვირაში ოთხს დღეს კოჯორში და სამს დღეს ტფილისში. რამდენიმე თავისუფალი საათი კიდევ დარჩა. თავ-მდებია იმისა, რომ მოსწავლეს კარგად გამოთქმას შეასწავლის.

ადრესი: ტფილისში—ლაბორატორის ქუჩაზე, წურინოვის სახლის ეზოში, კოჯორში—„კოპპის“ სასტუმროში. (3—85—3)

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

### წიგნის მაღაზია

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—7)

ისყიდება იაფად

ჭინახულის

### სანიავებელი მაშინა.

ძველი არსენალის ქუჩა, მირზოევის სახლი № 32. იკითხეთ ყარამან მუზაშვილი. (2—88—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქისშუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

### დ ა ნ ი ა

მშვენიერად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—2)

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

**„ურბენი“ (L'URBAINE)**

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს გადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—14)

საგალანტერიო მაღაზია

### პ. ი. ბროდსკისა

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—19)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

### აღალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ, **ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисѣ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадъ Агало А. Тутаеву. (15—75—9)

Дозв. ценз. Тифлисъ, 6-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე